ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 იანვრის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **2021** წლის 16 დეკემბრის **N24** დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის **2022** წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე

   მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ხევში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 300 კვმ. მიწის ნაკვეთის (ს/კ36.05.33.322), სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ,

   მომხს: მაია ალავიძე

3. **2020 – 2022** წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ კონკურსში წარსადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო იდეების მოწონების შესახებ

   მომხს: პეტრე შარიქაძე

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის

შემსრულებელი დავით კიკნაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 13 იანვრის რიგგარეშე სხდომის

2022 წლის 13 იანვარი ოქმი N 2

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი -დავით კიკნაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, ოთარ ლურსმანაშვილი, მარინა ხვედელიძე, ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ - სებისკვერაძე, უშანგი ბერაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, იამზე პაქსაშვილი, ვახტანგ ტალახაძე, ავთანდილ ვეფხვაძე, ეკატერინე შველიძე, ირმა ვეფხვაძე, კონსტანტინე ბერაძე, ომარი გაგოშიძე სულ საკრებულოს 22 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

პეტრე შარიქაძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,

მაია ალავიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,

ნინო მაღლაკელიძე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი,

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე -საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

მ. შარიქაძე - ა.ა.(ი)პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრის“ ჟურნალისტი

მ. შათირიშვილი -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ჟურნალისტი

ნ. კაპანაძე - **გაზეთ „ჩემი იმერეთის“ ჟურნალისტი,**

ს. ბაბლიძე - ოპერატორი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის დავით კიკნაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე**

მომხს: ნინო მაღლაკელიძე

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ხევში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 300 კვმ. მიწის ნაკვეთის (ს/კ36.05.33.322), სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ,

მომხს: მაია ალავიძე

3. **2020 – 2022** წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ კონკურსში წარსადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო იდეების მოწონების შესახებ

მომხს: პეტრე შარიქაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 22 წევრი

მომხრე 22

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ნ. მაღლაკელიძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის N24 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის)**

აზრი გამოთქვეს:

პ. კიკალიშვილმა - საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, მან აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე და მხარს უჭერს კომისია წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებას,

შ. ხიჯაკაძემ - საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ მან აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე და მხარს უჭერს კომისია წარმოდგენილ საბიუჯეტო ცვლილებას, მისასალმებელია, რომ წელსაც კოვიდრეგულაციებიდან გამომდინარე დაფინანსდა ჯანდაცვის 2 თანამშრომელი, რომლების მატარებელზე ახდენენ მგზავრთა ტემპერატური გაზომვას,

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი 2022 წლის ბიუჯეტის საგადასახადო თანხის გაზრდასთან დაკავშირებით

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 22 წევრი

მომხრე 21

წინააღმდეგი 1

საკრებულომ დაადგინა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის და ქონების მართვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მაია ალავიძის ინფორმაცია საკითხზე - **ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სოფელ ხევში მდებარე სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების 300 კვმ. მიწის ნაკვეთის (ს/კ36.05.33.322), სახელმწიფოსათვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ (თან ერთვის).**

აზრი გამოთქვეს:

გ. კვირიკაშვილმა - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, მან აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე, მისასალმებელია ახალი ობიექტის მშენებლობა და მხარს ვუჭერთ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 22 წევრი

მომხრე 22

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი ინფორმაცია საკითხზე - **2020 – 2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ კონკურსში წარსადგენად ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი საპროექტო იდეების მოწონების შესახებ (თან ერთვის)**

აზრი გამოთქვეს:

გ. კვირიკაშვილმა - საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, მან აღნიშნა, რომ საკითხი განიხილა კომისიის სხდომაზე, და მხარს ვუჭერთ.

პ. კიკალიშვილმა - საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ რამდენჯერმე ჩემს მიერ დასმული იყო წინადადება დევის გამოქვაბულთან მისასვლელი გზის და იქ სხვა სახის ინფრასტრუქტურის მოწყობის თაობაზე, რადგან ეს იქნება კარგი ტურისტული ობიექტი, იქნებ ახლა მაინც გავაკეთოთ პროექტი, რომ ინვესტორის გამოჩენის შემთხვევაში ვიყოთ მზად.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი
კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 22 წევრი

მომხრე 22

წინააღმდეგი 0

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე **დავით კიკნაძე**